საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 27 აპრილის №9 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 200 000 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში;

2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „ტალღას“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 850 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში;

3. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 3 900 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში; ხოლო შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 320 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯების მუხლში;

4. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

5. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებიდან 1 400 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**